წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 12 მკათათვე 1916 წ. № 153

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველო"-ს რედაქციაში და კანტორაში, დილით 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
[illegible] 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
[illegible]
ვის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი.

„ახალ კლუბისათვის"
**საჭიროა ხელოზე**
მოსამსახურენი (ოფიციანტები) იღებენ მანდილოსნებსაც
მისამართი: „ახალ კლუბის" კანტორაში დილით 11—3 საათ. და საღამოს 8—11 საათამდე. (3—169—2)

კოოპერატივ „მეურნე"-ს
საგანგებო კრების
გაგრძელება დანიშნულია
ივლისის 12-ს, სამშაბათს, საღამოს 7 საათზე სასოფლო-სამეურნეო ბანკის სადგომში.
განსახილველი საკითხები: ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა და მიმდინარე საკითხები. (კრება კანონიერად ითვლება დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად).
(1—173—1) კოოპ. „მეურნე"-ს გამგეობა.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
**კაფე პარიზი**
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში" შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები — ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით სილ. ს. გიგიბერია.

ექიმი
**მ. ი. ვაჩნაძე**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—9)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
**ა. დ. შაჰაზიანცი**
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
**ახალი აფთიაქი**
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დ. ზესტაფონში
ექიმი
**დ. კ. მაჭავარიანი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

**ვამზადებთ**
პირობით ხელმისაწდომ ფასებში
პრაპორშჩიკთა სკოლისათვის
მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—22

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან იღებს მანგლისში კორპუსის ბანაკში

ექიმი-დოსტაქარი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

გაზ. „საქართველო"-ს კანტორა ამით აუწყებს ხელის მომწერთ, ვინც 25 მკათათვემდე ფულს არ შემოიტანს, გაზეთი მოესპობა.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი
იოსებ იმედაშვილისა
იბეჭდება (უკვე 200 სვ. დაბეჭდილია). ხელის მოწერა გრძელდება. ძველი ხელის მომწერლებისთვის (ვინც ამა წლის 1 თებერვლამდის მოაწერა ხელი) წიგნი ღირს 2 მან., ახალ ხელის მომწერთათვის (წიგნზე სახელ-გვარის ასოების ამობეჭდვით) 2 მან. 50 კაპ. ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба"—Іос. Имедашвили. პატივისცემულ აგენტებსა ვსთხოვთ, შეკრებილი ფულის გამოგზავნა დააჩქარონ. თბილისში ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი"-ს სტამბაში, მადათოვის კუნძულზე, № 1.
(3-167-2)

ვაგზლის საავადმყოფოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
საავადმყოფოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

ღვინის საწყობი
**ნიკო გ. სესიაშვილისა**
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
**კახური ღვინო**
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

საუკეთესო კახური
**ღვინის საწყობი**
ადამ ზურაბის ძის
**ბერელაშვილისა**
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში
**ღვინით ვაჭრობა „მელაანი"**
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

**შეშის საწყობი**
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასშ
**საკუთარი ტყიდან**
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

## თბილისი, 12 მკათათვე

**საჭირო ნაბიჯები.** თუ უმაღლესი ბრძანება დაუყოვნებლივ აღსრულებაში იქმნა მოყვანილი და მოლაშქრენი ხუთმეტ ამ თვიდან მართლაც ჯარში გაიწვიეს, ჩვენს ქვეყანას დიდი უბედურება მოევლინება. ჭირნახული მოუწეველი დარჩება და ქალებს, ბავშვებს და მოხუცებულებს სარჩო-საბადებელი აღარ ექნებათ.

ამ საკითხს კვირის ნომერშიაც შევეხეთ და ჩამოვთვალეთ ყველა ის მოსაზრება და საბუთი, რომლისთვისაც წარსულში მთავრობას ანგარიში გაუწევია და ჩვენი ქვეყნის მოლაშქრეთა გაწვევა რამდენიმე ხნით შეუჩერებია და უფრო გვიან მოუხდენია, ვიდრე შიდა რუსეთში. ამასთან ერთად იმედი გამოვსთქვით, რომ ამ მოსაზრებით დღესაც ანგარიში გაეწეოდა, უკეთუ ეს მოსაზრებანი მოხსენდებოდა ვისაც ჯერ არს. ამ მოსაზრებით და ამ საბუთებს დღეს არ განვიმეორებთ. ამ წერილში ჩვენ გვინდა ზოგიერთ ქართულ დაწესებულებას მოვაგონოთ მისი მდგომარეობრივი უპირატესობა და აქედან გამომდინარე მოვალეობა,—მივიდნენ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან და მოახსენონ ჩვენი ქვეყნის სადღეისო თავისებური ვარამი. ქვეყანას სრული იმედი აქვს, რომ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, კავკასიის მეფის ნაცვალი არ ინებებს, რომ მარჩენალი სოფელი მუშა ხელისაგან დაიცალოს ჯერ მაშინ, როდესაც ქვეყანას საზრდო უზრუნველყოფილი არ აქვს. ოღონდ საჭიროა ყოველივე ეს ეცნობოს მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს. ამისთვის საჭიროა მისვლა და ნამდვილი ვითარების ახსნა-განმარტება. და როდესაც მის იმპერატორებით უმაღლესობას საშუალება მიეცემა ახლო გაეცნოს ჩვენი ქვეყნის ნამდვილ მწუხარებას და თითონ დარწმუნდეს მის გასაჭირში, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ კვლავინდებურის დაზოგვით და მზრუნველობით მოეკიდება მისდამი რწმუნებულ ქვეყანას და დააცლის, რომ სოფლის მუშამ მოიწიოს და აკრიფოს თვისი ნაჭირნახულევი და სარჩო-საბადებელის მხრივ ოჯახი და ცოლშვილი უზრუნველ ყოფილი დასტოვოს ჯარში წასვლამდე.

ჩვენი დეპუტატთა საკრებულოები, რომელნიც განსაკუთრებულის უპირატესობით არიან აღჭურვილნი და რომელთაც სასახლეში პირდაპირ მიესვლებათ, ვალდებულნი არიან, ამ იშვიათ მდგომარეობაში, კავკასიის უმაღლეს მთავრობას გააცნონ თავიანთი ქვეყნისა და ხალხის დიდი სადღეისო გადაუდებელი საჭიროება და მით შეაძლებინონ მოახდინოს უსაჭიროესი და მაღალ გონიერი განკარგულება შემოდგომამდე მოლაშქრეთა დატოვებისა რთველის მოსაწევად.

თუ საჭირო ცნობები საჩქაროდ და თავის დროზედ არ მიაწოდეს,—დამნაშავენი ჩვენ ვიქნებით და სასჯელიც ღირსეულად უნდა ვზიდოთ. ჩვენ,— კარგი, მაგრამ რა შუაშია საწყალი ხალხი, მაშვრალი სოფელი, რომელმაც არც გზა იცის და არც კვალი და რომელსაც არც პირდაპირი მისვლის საშუალება მოეპოება?! დეპუტატთა საკრებულოსთან ერთად უნდა გაისარჯოს ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირიც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება იმას, თუ საქართველოს სამღვდელოების უფროსი, ყოვლად სამღვდელო პლატონიც, საქართველოს ეგზარხოსი, მოიღებს ამავე ზრუნვას თავის სამწყსოზედ და გასწევს ზემოაღნიშნულ აუცილებელ შუამდგომლობას მის იმპერატორებით უმაღლესობის, კავკასიის მეფის ნაცვლის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის წინაშე.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

უკანასკნელ დღეებში რიგა-დვინის ბრძოლის ხაზს გამოცოცხლება დაეტყო. მთავარ შტაბის ბიულეტენების გადმოცემით ამ მიდამოების ზოგიერთ ალაგს ბრძოლას უკვე მკაცრი ხასიათი მიუღია. მართალია ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ვიფიქროთ, ვითომ აქ უკვე გადამწყვეტ ბრძოლასთან გვქონდეს საქმე, თუმცა რაც ახლა იქ ხდება ამასაც მეტად თვალსაჩინო სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ყველას კარგად ეხსომება, რომ გერმანელები თითქმის მთელ ზამთარს მეტად სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ამ ბრძოლის ხაზს და განუწყვეტლივ ამოქმედებდა მძიმე ზარბაზნებს. გერმანელების განზრახვა ცხადი იყო. მათ სურდათ როგორმე რიგა და დვინსკი ხელში ჩაეგდოთ და მათ გაემაგრებინათ ეს ბრძოლის ხაზი, რომელიც გაცილებით წინ წაწეულა დანარჩენ ხაზზე. ამას იმდენად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. რომ მოპირდაპირე ყოველთვის შეეცდება ეს გარემოება გამოიყენოს, დრო იხელთოს და მთავარი ოპერაციული შეკვეთა დაიწყოს. მით უმეტეს თვითონ ადგილიც, დაქსელილი მრავალ რკინის გზებით ამ განზრახვისთვის მეტად ხელსაყრელია.

ჯერ-ჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ ვის ეკუთვნის აქ ინიციატივა. თუ მივიღებთ მხედველობაში რუსების მიერ რამოდენიმე სიმაგრის აღებას, სწორეთ უკანასკნელთ დაუწყვიათ.

ცხადია, გერმანელები ამ შემთხვევაში იძულებული იქნებიან მეტი ყურადღება მიაქციონ ამ ბრძოლის ხაზს, ჯარები არა თუ გადიყვანონ სადმე, პირიქით მიაშველონ კიდევაც. რაც უეჭველია ერთნაირ გავლენას იქო-

ნიებს კოვლის და ვოლინის ასპარეზზე.

დანარჩენ ადგილებში თვალსაჩინო არაფერი მომხდარა, გარდა კავკასიის ბრძოლის ველისა, სადაც რუსები ზედი-ზედ ამარცხებენ ოსმალებს და თითქმის ყოველდღე მეტად დიდ მნიშვნელოვან სიმაგრეებს ართმევენ.

X.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** 9 მკათათვე, ოფიციალი. რიგის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა არ შეწყვეტილა. სმორგონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ს. მარტიშის მიდამოებში დღეს ღამით ჩვენმა ჯარმა მტრის სიმაგრეები აიღო. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით გერმანელების მძიმე არტილერია ზარბაზნებს ისროდა. მდ. ლიპის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა მტერი უკან დასწია, ბრძოლით გაიარა დაბა ბერესტეჩკო და ეხლა დასავლეთისკენ წინ იწევს. 7 და 8 მკათათვეს გენ. სახაროვის ჯარმა ტყვედ წამოიყვანა 30 აფიცერი (ამათში 1 გერმანელი პოლკის უფროსი) თორმეტ ათასზე მეტი ჯარის კაცი. ამას რომ წარსულ დღეებში წამოყვანილი ტყვეთა რიცხვი მიუმატოთ—საერთო რიცხვი 3 მკათათვიდან წამოყვანილ ტყვეებისა 26 ათასს უდრის. საერთო რიცხვი დავლისა ჯერ გამორკვეული არ არის. სოფ. ვერზენ-პლიაშევოს მიდამოებში (სტირის მარჯვენა ნაპირზე) ჩვენი ჯარი ავსტრიელების მე-13 პოლკს გარს შემოეხვივნენ და მთელი პოლკი ტყვედ წამოიყვანეს. ბოროხტის მიდამოებში (მარმაროშსიგეტის გზით) ჩვენ რამდენიმე სიმაღლე ავიღეთ. აქ ხელთ ვიგდეთ ტყვეები და 3 ტყვიის მფრქვეველი. იარემჩეს დასავლეთით ჩვენ ავსტრიელების მთელი ერთი როტა ტყვედ წამოვიყვანეთ.

**კავკასიის ასპარეზი** პლატანის (შავი ზღვის ნაპირზეა) დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მტრის რამდენიმე სიმაგრე აიღო და ფლის მხრით წინ წაიწია. ტყვედ წამოყვანილთა შორის ერთი პოლკის უფროსია, ერთი თავისუფალ რაზმების მეთაური ზია-ბეი, თავისი დროშით. გიუმიტხანეს აღების დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი და მრავალი ტყვე. კიანკიტ-ჩევტლიკას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 7 აფიცერი და 120 ჯარის-კაცი. დღითიდღე ტყვეთა რიცხვი იზრდება. გუშინ ოსმალთა ერთ-ერთი კორპუსის ჰოსპიტალი ჩავიგდეთ ხელთ. ჰოსპიტალში იყო მრავალი დაჭრილი ოსმალო, რომელთა შორის მე-96 პოლკის უმფროსი და ჰოსპიტლის მსახურია.

**პეტროგრადი,** 9 მკათათვე, ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. რიგის სიმაგრეების მარცხენა მხრით ჩვენ ჯარს მტერთან დიდი შეტაკება მოუხდა. ზოგ ადგილას რამდენიმე რაზმი მტრის სიმაგრეებში შეიჭრა. ორივე მხრივ ზარბაზნის ძლიერი სროლაა. ლიპის მარცხენა ნაპირზე სოფ. ზვინიაჩეს მიდამოებში—გოროხოვის აღმოსავლეთით, ჩვენმა მოწინავე რაზმებმა ტყვედ წამოიყვანეს 1 აფიცერი და 42 ჯარისკაცი.

**კავკასიის ასპარეზი.** გიუმიტხანის ჩრდილოეთ-დასავლეთით 20 ვერსის სიშორეზე, ჩვენმა ჯარმა არდასი აიღო. აქ ტყვედ ჩაგვივარდა 16 აფიცერი და 260 ჯარისკაცი. დავლად დაგვრჩა 3 ტყვიისმფრქვეველი. ტყვეთა შორის ოსმალების მე-29 პოლკის უფროსია.

**პეტროგრადი,** 10 მკათათვე, ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. რიგის მიდამოებში კვლავ საარტილერიო ბრძოლაა. სმორგონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, სოფ. მარტიშის მიდამოებში, გერმანელები სცდილობდნენ დაებრუნებინათ ის თხრილები, რომლებიც გუშინ ჩვენმა ჯარმა იერიშით აიღო. მაგრამ ჩვენმა არტილერიამ მათი წინსვლა შეაჩერა და მტერი იძულებული გახდა უკან დახეულიყო. მდ. სტოხოდზე, ზარეჩიე-ბერეზნიცის მიდამოებში მტრის იერიში მოვიგერიეთ. ვოროხტის და ტარტაროვის მიდამოებში ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 5 აფიცერი (მათ შორის ბატალიონის უფროსი) და 483 ჯარისკაცი. ამას გარდა ხელთ ვიგდეთ 3 ზარბაზანი და 4 ტყვიისმფრქვეველი. კარპატის მთებში თოვლი და წვიმა მოდის.

**კავკასიის ასპარეზი.** შავი ზღვის ნაპირებზე ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო ქალაქი ფოლუ და მის სამხრეთით კარგა მანძილზე წინ წაიწია. აქ მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე რაზმელების დროშა. იეშიმ-ირმაკას მიდამოებში ჩვენ ქალაქი კიალკიტ-ჩევტლიკი ავიღეთ. ერზინჯანის მხრით ჩვენი ჯარი დასავლეთ-ეფრატს გაღმა გავიდა და კეტურკეპრის მიდამოებში მაგრდება. მოსსულსკის მხრით რევანდუზას აღმოსავლეთით ჩვენსა და ოსმალთ შუა დიდი შეტაკება დაიწყო.

**შენიშვნა.** 7 და 8 მკათათვის განმავლობაში ჩვენმა ჯარმა ტყვედ წამოიყვანა 370 აფიცერი (ამათში 1 გენერალი და ერთი პოლკის უმფროსი) და 13,700 ჯარის კაცი.

**პეტროგრადი,** 10 მკათათვე. ოფიციალი. კავკასიის ასპარეზი. ჩვენი წინ სვლა ნელ-ნელა ფართო ხასიათს იღებს. დამატებითი ცნობების თანახმად გიუმიშხანეს აღების დროს ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა 6 ზარბაზანი. გიუმიშხანეს დასავლეთით ბალაბახსა და დაგლარის სიმაღლეებზე ჩვენმა ჯარმა 200 ჯარისკაცი წამოიყვანა ტყვედ. ამას გარდა ხელთ იგდო მრავალი საომარი მასალა.

—

**პარიზი,** 10 მკათათვე, ოფიციალი. სომმის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა. სუაკურას სამხრეთით გერმანელებმა ჩვენს სიმაგრეებზე იერიში მოიტანეს, მაგრამ უკუ ვაგდეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე, ფლერის მიდამოებში, საარტილერიო ბრძოლაა. ეპარჟთან ჩვენ გერმანელების იერიში მოვიგერიეთ. სხვა ადგილებში ღამემ მშვიდად ჩაიარა.

**ლონდონი,** 9 მკათათვე, ოფიციალი. პატარა შეტაკებებს გარდა ბრძოლის ხაზზე ღირსშესამჩნევი არა მომხდარა რა. მდგომარეობა არ შეცვლილა. ლეიპციგის რედუტის დასავლეთით და ბეზანიენ-ლონგვალის დასავლეთით ბრძოლა არ შეწყვეტილა. ინგლისელების ჯარმა ფოროს ტყეს მიაწწია და იქ დაბანაკებული მტრის ჯარი გაჰფანტა. კონტრ-იერიშებით მტერმა ამ ტყის ჩრდილოეთი ნაწილი უკან დაიბრუნა.

ჩვენსა და მტრის მფრინავთა შორის შეტაკება მოხდა. ჩვენმა მფრინავთა რაზმმა მტრის 3 მფრინავი ჩამოაგდო ძირს და ერთი ჰაერში ააფეთქა. ამ ბრძოლაში ჩვენ მხოლო ერთი მფრინავი დავკარგეთ. უკანასკნელ 12 საათის განმავლობაში ორივე მხარე ქარიშხლისებურ სიძლიერით ისვრის ზარბაზნებს. ზოგ ადგილებში მტერმა სულის შემხუთავ ჰაერით გატენილი ყუმბარები გვესროლა.

**რომი,** 8 მკათათვე. ოფიციალი. გუშინ ჩვენმა არტილერიამ რივასა და როვერტოს ყუმბარები დაუშინა. ჩვენმა ჯარმა მონტნ-მაის ჩრდილოეთით მტრის თხრილები აიღო. მტერი მონტე-ფალკონეს ზარბაზნებს უშენს. ჩვენც ჩვენის მხრივ დობერდოს თამიანოს და სანჯჯიოვანის მიდამოებში საარტილერიო სროლა განვახორციელეთ.

**რომი,** 9 მკათათვე. ოფიციალი. მდ. ადიჯესა და ბრენტის შუა საარტილერიო ბრძოლა არ შეწყვეტილა. პიავესა და ბრენტოს მიდამოებში ჩვენი ჯარი მტერზე იერიშს განაგრძობს. ჩიავანნეს და ჩისმონეს მდელოებში ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 253 ჯარის კაცი. ამას გარდა ხელთ ვიგდეთ 9 ტყვიის მფრქვეველი. ჩვენმა ჯარმა იზერის სიმაღლე (სექსტენის მიდამოები) იერიშით აიღო და აქ ახალ სიმაგრეებს აშენებს.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის ასპარეზი.**

წარსულ კვირის განმავლობაში რუსეთის დასავლეთ ასპარეზზე ღირს შესამჩნევი არა მომხდარა რა და ბრძოლას არც ერთ ხაზზე მებრძოლთა მდგომარეობა თვალსაჩინოდ არ შეცვლილა. ყველაზე დიდი ბრძოლები ერთი კვირის განმავლობაში მხოლოდ მდინარე სტოხოდის მიდამოებში ხდებოდა. ოფიციალურ ცნობების მიხედვით აქ რუსეთის ჯარი სცდილობს უკვე დაპყრობილ ადგილებში გამაგრდეს. მას შემდეგ რაც სარნისა და კოველის მხრით რუსებმა 40 ვერსით წინ წაიწიეს და სტოხოდის ბრძოლის ხაზი აიღეს, მათს მოქმედებას მწვავე ხასიათი დაეკარგა და მხოლოდ ზემო აღნიშნულ მდინარის ნაპირების ხელში ჩაგდებასღა ლამობდნენ. ეხლა კი გამოირკვა, რომ მდ. სტოხოდის ორივე ნაპირი რუსის ჯარს აუღია და მის გარშემო მიდამოების გამაგრებას შესდგომია.

ვოლინის ასპარეზის სხვა ადგილებში შედარებითი სიწყნარე ჩამოვარდა.

გალიციის ასპარეზზედაც წარსულ კვირის განმავლობაში მებრძოლთა მდგომარეობა თვალსაჩინოდ არ შეცვლილა. მხოლოდ მდ. სტრიპის დასავლეთით, სადაც ავსტრიელებს და გერმანელებს განუწყვეტელი იერიშები მიქონდათ რუსების სიმაგრეებზე, რუსის ჯარმა 3200 ტყვე წამოიყვანა და 2 ზარბაზანი, 19 ტყვიისმფრქვეველი და ერთი ყუმბარის მტყორცნელი ჩაიგდო ხელთ.

**ვერდენის ბედი.**

წარსულ თვის განმავლობაში გერმანელებმა ვერდენის მიდამოებში დიდი სისასტიკით განაახლეს იერიშები. თითქმის მუდამ დღე მოდიოდა ოფიციალი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორის თავგანწირვით სცდილობდნენ გერმანელები ამ ციხის რომელიმე სიმაგრის აღებას. ეხლა გამოირკვა, რომ გერმანელები თვით ვერდენის ციხეს $3^1/_2$ ვერსით არიან დაშორებულნი. ფრანგების განკარგულებაში ამ ჟამად ოთხი ძლიერი სიმაგრეა არის, რომელთა აღებისათვის გერმანელები ამ ბოლო დროს ძალასა და ღონეს არა ზოგავენ.

**გერმანეთის მთავარ-შტაბის განცხადება.**

გერმანულ გაზეთებში დაბეჭდილია გერმანეთის ჯარის მთავარ-შტაბის ცნობა, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: „ირწმუნეთ გამარჯვება". ამ გერმანეთის მთავარი შტაბი სხვათაშორის აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა შტაბების ოფიციალური ცნობები მტკნარ სიცრუეს წარმოადგენს და შეთხზულია მხოლოდ იმ მიზნით, რომ გერმანიაში ხალხის სულიერი განწყობილება შეაშფოთოსო. ამავე ცნობის თანახმად, გერმანეთის ხალხს სწამს თავის ჯარის გამარჯვება და ჯარი კი მზად არის რკინასა და ცეცხლს წინააღუდგესო.

**გერმანეთის წყალქვეშა ნავი ისპანეთში.**

ამ რამდენიმე ხნის წინად ისპანეთის ქ. კარტაგენას გერმანელების წყალქვეშა ნავი ეწვია. გერმანეთის გაზეთების სიტყვით წყალქვეშა ნავის უმფროსს ფონ-დე-და-პერირს ისპანეთის მეფისთვის იმპარატორ ვილჰელმის საკუთარი წერილი გადაუცია. წერილში ვილჰელმი მეფეს მადლობას უცხადებს იმ პატივისცემისათვის, რომელიც ისპანეთმა აფრიკიდან დაბრუნებულ გერმანელ ჯარისკაცებს გაუწია. ნამდვილად კი, ინგლისელების აზრით, გერმანეთს ჰსურს ისპანეთისაგან ნებართვა მიიღოს, რათა გერმანეთის წყალქვეშა ნავებს უფლება ჰქონდეთ ისპანეთის ქალაქებიდან სურსათი გაზიდონ.

**ვენგრეთის სამხედრო ჯარი.**

ვენგრეთის ფინანსთა მინისტრის განცხადებით, დღიდან ომის დაწყებისა ე. ი. 23 თვის განმავლობაში ვენგრეთს სამხედრო საჭიროებაზე 470 მილიონ კრონამდის დაუხარჯავს თვეში. პირველ ხანად ხარჯი გაცილებით ცოტა ყოფილა, ეხლა კი თურმე დღითი დღე მატულობს და თვეში 500—600 მილიონ კრონამდის ადის. ამ ხარჯების დასაფარავად მინისტრი ახალ გადასახადების შემოღებას ითხოვს.

**პოლონეთის საკითხი გერმანეთში.**

პოლონეთის მომავალი ბედი დიდს უთანხმოებას იწვევს გერმანეთისა და ავსტრიის მთავრობის შორის. მოლაპარაკება ამ საკითხის შესახებ უნაყოფოდ დამთავრდა. როგორც სჩანს პოლონეთის ბედის გადაწყვეტაში გერმანელების და ავსტრიელების ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.

**გერმანელების წყალქვეშა ნავი ამერიკაში.**

ამას წინად გერმანეთის წყალქვეშა ნავმა „დოიტლანდ"-მა ინგლისელების ფლოტი გაარღვია და ამერიკაში მივიდა. ნავს სამარი იარაღი არა ჰქონდა და დატვირთული იყო სხვა და სხვა საქონლით. ამიტომ ამერიკის მთავრობამ იგი სავაჭრო გემებს დაადარა და არ დაატყვევა. ეხლა ამ ნავის უმფროსს კენიგას ამერიკელებისათვის დაბეჯითებით განუცხადებია, რომ მალე ამერიკას გერმანეთიდან საქონლით დატვირთული უზარმაზარი „ცეპელინი" მოფრინდებაო.

**საერთაშორისო ომის ორი წლის თავი.**

საერთაშორისო ომის ორი წლის თავზე იმპერატორი ვილჰელმი ხალხს მანიფესტით მიჰმართავს. მანიფესტში გამოთქმული იქნება ის აზრი, რომ გერმანეთი უკანასკნელ კაცამდის იბრძოლებს და ხალხმაც მთელი თავისი ძალა და ქონება გამარჯვების საქმეს უნდა შესწიროსო.

**გერმანეთის „წითელი ჯვრის განცხადება.**

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად მტრის წყალქვეშა ნავმა რუსების „წითელი ჯვრის" გემი „ვპერიოდი" ზღვაში ჩაძირა. ამის გამო რუსეთის „წითელი ჯვრის" საზოგადოებამ ყველა სახელმწიფოთა „წითელი ჯვრის" საზოგადოებებს დეპეშები დაუგზავნა, რომელშიაც პროტესტს აცხადებდა ამ უკანონობის წინააღმდეგ. გერმანეთის „წითელი ჯვრის" საზოგადოებამ რუსეთისას ამის გამო შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა: „ვინაიდან ამჟამად არ გვაქვს შეძლება გამოვსთქვათ ჩვენი აზრი ამ უკანონობის ჩამდენთა პასუხისმგებლობაზე, გერმანეთის „წითელი ჯვრის" საზოგადოება გაუწყებთ, რომ იგი ამ საქმის შესახებ მკაცრ გამოძიებას შეუდგა, რომლის დამთავრების შემდეგ თქვენს შეკითხვაზე დაწვრილებით პასუხს გაგცემთ"-ო.

**გერმანელები კოველის ციხესთან.**

რუსეთის ასპარეზზე მომქმედ გერმანელების ჯარის მთავარ შტაბს გადაუწყვეტია, კოველის ციხის მიდამოებში მომქმედი ავსტრიელთა ჯარი ბრძოლის სხვა ასპარეზზე გადაიყვანეს და მის ნაცვლად მხოლოდ გერმანელ ჯარს მოუყარეს თავი. ამ ციხის გარშემო გერმანელებს ჰქონიათ 100 მძიმე და 150 მსუბუქი არტილერია. ეს არტილერია ბრესტ-ლიტოვსკის ციხიდან გადმოუტანიათ.

**რამდენს ხარჯავენ სახელმწიფოები ომის საჭიროებაზე.**

თიბათვეში 23 თვე შესრულდა მას აქეთ, რაც ევროპის საშინელი ომი ასტყდა. ეს იშვიათი ომი დიდს ხარჯებს მოითხოვს მით უმეტეს, რომ მეომარი სახელმწიფონი სამარ ტექნიკისა და ომის სხვა საშუალებათა გაუმჯობესებაში გერმანეთს ეჯიბრებიან. დღიდან ომის დაწყების 23 თვის განმავლობაში გერმანეთს ომის საჭიროებებზე დაუხარჯავს 43 მილიარდი მარკა, ე. ი. 20 მილიარდი მანეთი; ავსტრო-ვენგრეთს 11 მილიარდი მანეთი, ოსმალეთს და ბულგარეთს 2 მილიარდი. ამგვარად გერმანეთსა და მის მოკავშირე სახელმწიფოებს დღევანდლამდე [illegible] 33 მილიარდი მანეთი.

ამავე დროს რუსეთს [illegible] 18 მილიარდი მანეთი, ინგლისს 22 მილიარდი, საფრანგეთს 17 მილიარდი, იტალიას 3—4 მილიარდი. ის რომ მოკავშირეთა ხარჯი სულ უდრის 60 მილიარდს. ე. ი. მათი ხარჯი ორჯერ მეტია, ვიდრე გერმანეთისა და მის მოკავშირეებისა.

**პოლონეთის ვითარება**

გერმანელების აზრით პოლონეთი მათთვის საჭიროა არა მარტო, როგორც ახალი სავაჭრო ბაზარი, არამედ როგორც ჯანსაღ მუშა ხელით მდიდარი ქვეყანა. ამიტომ გერმანელებმა პოლონეთის მუშათა დამხმარე საზოგადოებას აუკრძალავს უმუშევართ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ. ამით მთავრობას ჰსურს ისარგებლოს მუშებით და სხვა და სხვა სამხედრო საჭიროებისათვის იაფ ფასად ამუშაოს. ამ საშუალებით გერმანელებს მარტო ლოძში 35,000 მუშა დაუქირავებიათ. ამათგან 6,000 შიდა გერმანეთში გაუგზავნიათ სამუშაოდ.

**როზა ლიუქსემბურგის დატუსაღება**

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ მოკლე ხანში გერმანეთში სასამართლოს გადაწყვეტილებით 2 ნახევარ წლით ციხე მიუსაჯს გერმანეთის სოციალ-დემოკრატთა პარტიის უმცირესობის მეთაურს რეიხსტაგის დეპუტატს ექიმს ლიპკნეხტს, რომელიც ომის წინააღმდეგ ხალხს ამხედრებდა. მისი თანამოაზრე როზა ლიუქსემბურგი კი განთავისუფლეს. ეხლა, უცხოეთის გაზეთების სიტყვით, როზა ლიუქსემბურგი მთავრობას ხელახლა დაუტუსაღებია.

**კათოლიკეთა პროპაგანდა მთაშავეთში**

ავსტრიის მთავრობას დაპყრობილ მთაშავეთის ქალაქებსა და სოფლებში კათოლიკების მღვდლები დაუგზავნია. მღვდლებს დავალებული აქვთ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის კათოლიკური სარწმუნოება გაავრცელონ. აღსანიშნავია, რომ გარდა რამდენიმე ათასი ალბანელისა, რომელნიც კათოლიკურ სარწმუნოებას მისდევენ, მთაშავენლნი ყველა მართმადიდებლები არიან. ამ ერთ მუჭა კათოლიკე ალბანელებს ავსტრიელები დიდის პატივისცემით ეპყრობიან და მათი შემწეობით ჰსურთ დანარჩენ მთაშაველებთან კეთილი განწყობილება დაამყარონ.

**დიდი ცეცხლი საბერძნეთში**

ამას წინად საბერძნეთში მეფის სასახლესა და მის გარშემო მდებარე უშველებელ ტყეს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლმა დიდძალი სიმდიდრე შთანთქა. ეხლა გამოირკვა, რომ ცეცხლი წაუკიდებიათ მეფისა და მის მომხრეთა მოწინააღმდეგეთ, რომელნიც სცდილობენ საბერძნეთში რევოლუცია გამოიწვიონ. ცეცხლის დროს მეფე ხიდიდან გადავარდა და ფეხი დაუშავდა. ძლივს-ძლივობით გადაარჩინეს იგი ცეცხლს და ავტომობილით უშიშარ ალაგას გაჰგზავნეს. ამბობენ, ამ ამბავმა ისე იმოქმედა მეფეზე, რომ მან ათონში დაბრუნებაზე გადაჭრით უარი განაცხადა. ხალხის მღელვარებამ საბერძნეთში უფრო იმატა.

# წმ. თამარ მეფე [1]

პატივცემულმა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა პირველად მიაქცია ყურადღება ერთს უუშესანიშნავესს მოვლენას ქართველების ისტორიაში, რომელიც ცხად ჰყოფს, რომ იმ დროს, მეთორმეტე საუკუნეში, საქართველოში მომწიფებულა უკვე ჰაზრი სახელმწიფოს წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის შესახებ. გამოჩნდა ერთი ჯგუფი დიდებულთა, რომელთაც მეთაურობდა ყუთლუ არსლანი. ამ ჯგუფმა მოსთხოვა თამარ მეფეს: ცალკე კარავის დადგმა მეფის სასახლის მოშორებით. ამ კარავში მსხდომთ უნდა ეწარმოებიათ საქმენი სახელმწიფოს შესავალ-გასავლისა და სამართლის ხასიათისა. კარავში მსხდომთ უნდა ეცნობებიათ თვისნი გადაწყვეტილებანი განსაკუთრებულ მოხსენებით თამარისათვის, რომელსაც უსათუოდ უნდა შეესრულებია მათ მიერ განსჯილი, განგებული საქმე. ვინ იყო ყუთლუ-ასლანი? იგი მოსჩანს მდაბიო წოდების შვილად, მაგრამ ამავე დროს სიმდიდრით ამაღლებულად. ბ. ი. ჯავახიშვილი ამბობს: „არას დროს არავისაგან ასე მკაფიოდ და ნათლად არ ყოფილა წამოყენებული საკითხი საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის საჭიროების შესახებ, რომ მეფეს თვითმპყრობელობით და მხოლოდ მას საკუთრივ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის უფლება არ ჰქონოდა, არამედ ის უფლება განსაკუთრებულს უზენაეს დაწესებულებას მინიჭებოდა ხოლო მეფეს-კი შერჩენოდა უფლება აღმასრულებლობითი... ამ მოთხოვნილებაში კარგათაა განაწილებული კანონმდებლობის და მისი სრულყოფის, აღსრულების უფლება. ეს გარემოება უჩვენებს ქართველთა გონების პოლიტიკურ სიმწიფეს, რაც გასაკვირი არაა, თუ თამარის დროინდელ ქართულ კულტურას გავითვალისწინებთ... ყუთლუ-ასლანი, მაშასადამე, მოითხოვდა მეფის უფლების შეზღუდვას და უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულების დაარსებას. ამ პარლამენტის მსგავს დაწესებულებაში სახელმწიფო გამგებლის საქმეები უნდა ეწარმოებიათ დიდებულებს ანუ დიდ მოხელეებს და მაღალ წრეების წევრებს... დროს განმავლობაში ამ დაწესებულების შემადგენლობაც? რასაკვირველია, შეიცვლებოდა, და ის თანდა-თან ხალხს დაუახლოვდებოდა, რადგან ქართველი ერი იმ თავითვე დემოკრატიული ხასიათისა იყო, და მაღლა აყენებდა ყოველთვის პირად ღირსებას და არა მარტო გვარიშვილობას. როგორც გვიმოძღვრებს ერთი ქართული ანდაზა: „ათასად გვარი დაფასდა,—ათი-ათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.

ამასვე გვიმოძღვრებს პოეტი თავადი გრიგოლ ორბელიანი, რომელიც ბრძანებს:

> მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
> თაყვანის ცემა—ღირსებას:
> ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
> და არა გვარიშვილობას.

თამარ მეფეს არ მოეწონა ყურთუ-არსლანის მოთხოვნილებანი. ეს მიხვდა, რომ ამ მოთხოვნილებათა აღსრულება სამეფო უფლების გაუქმებას მოასწავებდა... თამარმა ეს იწყინა და გაიკვირვა... განიძრახა შეეპყრო ბაყურთუ-არსლანისა და მის თანამოაზრეთა... მაგრამ ყურთუ-არსლანის მომხრე ჯგუფი არ სცხრებოდა და გადასწყვიტა განდგომა თამარისაგან და მის წინააღმდეგ მოქმედება მახვილითა და სისხლით. სამეფო ორ ნაწილად განიყო. ორი ბანაკი გამოჩნდა, ერთ მანეთის მოწინააღმდეგე... საქმეს სავალალო დაბოლოება მოელოდა. სამეფო ძმათა სისხლით უნდა შესვრილიყო... თამარმა გამოიჩინა ამ საშიშარ დროს დიდი გამჭრიახობა. მან აღმოაჩინა ორი გავლენიანი მანდილოსანი: ხვაშაქი და კრავაჲ დიდის გვარისა და აჯანყებულთ შუამავლებათ გაუგზავნა. ამ მანდილოსნებმა საქმე მშვიდობით დააბოლავეს. თამარმა აჯანყებულნი არ დასაჯა. ეს კია, რომ ყუთლუ-არსლანი დასჯილ იქმნა საქართველოდამ გაძევებით. ყურთლუ-არსლანის გეგმა ჩაი ფუშა; მაგრამ მის ცდას ამაოდ არ ჩაუვლია. თამარ მეფემ გადამდგარ მოხელეთა ნაცვლად მათი მოადგილეები დიდი სიფრთხილით აღირჩია და აღრჩევის დროს დაეკითხა ორს ვეზირს, სპასპეტს (ჯარის უფროსს) და საქართველოს ყველა კუთხის დიდებულებსა. დაამტკიცა ახლად არჩეული მოხელეები. „თანადგომითი და ერთნებიობითა დიდებულთასა... მაგრამ ამ გარემოებით არ შელახულა თვითმპყრობელობა თამარისა... მან შეინარჩუნა დამტკიცების და უარყოფის უფლება.. ყუთლუ-არსლანის ამბოხება მოხდა 1184—1186 წლებში. საინტერესოა ჩამოთვლა იმ მოხელეებისა, რომელნიც თამარმა დანიშნა. მწიგნობართუხუცესად დაინიშნა—ანტონი ჭყონდიდელი, ამირ სპასალარად ანუ ჯარის მთავარ-სარდლად—სარგის მხარგძელი, მსაჯულთ უხუცესად—ჭიაბერი. ამირახირად (ცხენოსნობის გამგედ)—გამრეკელი-თორელი, მეჭურჭლეთ-უხუცესად (შესავალ-გასავლის გამგედ)—კახაბერ ვარდანისძე და მსახურთუხუცესად (სამეფო კარის მინისტრად) ვარდან დადიანი. ჩამოთვლილ მოხელეთა უმეტესობა ჯერ კიდევ თამარის მამის გიორგის ჟამს მოღვაწეობდა საქართველოს მთლიანობისა და კეთილდღეობისათვის და სამეფო გვარის ერთგულობით იყო ცნობილი.

ამნაირად თამარ მეფის და დიდებულთა წყალობით საქართველოს ცხოვრება თავის წესიერ კალაპოტში ჩადგა... მაგრამ მას გარეშე მტრები მაინც არ ასვენებდნენ. ამის მეოხებით თამარ მეფის ჟამს საქართველომ ბევრი ომი გადიხადა გარეშე მტრებთან, და ყოველთვის მისი ხმალი გამარჯვებული რჩებოდა... სხვა უბედურობა, რომელიც საქართველოს თავს დაატყდა, წარმოიშვა იმისგან, რომ თამარ მეფემ განაგდო პირველი თვისი ქმარი გიორგი, შვილი ანდრია ბოგოლიუბსკისა, რუსთა მთავრისა .. მთელი ნახევარი საქართველო თამარს განუდგა და მიემხრო გიორგის... მაგრამ თამარის ერთგულებმა დაამარცხეს გიორგის მომხრენი... თამარმა მეორე ქმრად აღმოირჩია დავით სოსლანი, ოსთა თავადის მონათესავე, შორეული ნათესავი ქართველთა სამეფო გვარისა. ჩვენ გვიკვირს, თუ რად განუდგა ნახევარი სამეფო თამარს, რად არჩია მიმხრობოდა გიორგი რუსსა?! ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დავაკავშიროთ უკმაყოფილება თამარისადმი იმ პოლიტიკურ მოძრაობასთან, რომელიც დაიწყო ყუთლუ-არსლანის მეთაურობით. თითქოს ეს მოძრაობა მოისპო, საქრა, მაგრამ ყრუ უკმაყოფილება ხალხში მაინც იარსებებდა აზრ-მომწიფებულს და შეგნება-განვითარებულ ერს სურდა ახალი წესწყობილება თვისი ნების გაბატონება სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში და სწორედ ამ მისს მომწიფებულს სულისკვეთებას წინააღუდგინ თამარ მეფე და მისი დიდებულნი... ამ გარემოების მეოხებით შემზადდა პოხიერი ნიადაგი თამარის მიმართ უკმაყოფილებისა და სწორედ ამ უკმაყოფილებამ გამოიწვია, ვიმეორებთ, მთელ ნახევარ სამეფოს განდგომა თამარისაგან... შესაძლოა, რომ რუსმა—გიორგიმ გამოუცხადა ახალ წესწყობილების მოტრფიალეთ სრული თანაგრძნობა და აღუთქვა მათი სურვილის დაკმაყოფილება. ამის მეოხებით მან დიდებულთა გული მოინადირა... ახალ წესწყობილების მოტრფიალეებათ გამოდიან უფრო დასავლეთ საქართველოს შვილნი, რომელთ მეფეებმა შექმნეს ქართლ-კახეთის დიდებულთა დახმარებით გაერთიანებული საქართველო. რუს-გიორგის ზნეწამხდარი პიროვნება ახლის მოტრფიალეთ არაფრად ეჭაშნიკებოდათ, ოღონდ თავისი სურვილი განეხორციელებიათ და დაეწესებიათ წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა... თუმცა ჩაქრა ახალი მოძრაობა, მაგრამ დამყარდა ის წეს-რიგი, რომელიც გამოხატული აქვს შოთას:

> „მეფემან იხმნა ვეზირნი
> თვით ზის ლაღი და წყნარია,
> გვერდსა დაისხნა, დაუწყო
> მათ ამო საუბნარია.
> უბრძანა: „გკითხავთ საქმესა
> ერთგან სასაუბნაროსა!"

სჩანს, რომ დამყარდა ისეთი წესრიგი, რომლის ძალით მეფე ვეზირთა დაუკითხავად არავითარს დიდს საქმეს არ მიჰყოფდა ხელს... მოისპო თვითნებობითი თვითმპყრობელობა... ყუთლუ-არსლანის განძრახვანი რამდენადმე განხორციელდა.

ილ. ფერაძე.

(დასასრული იქნება)

[1] იხ. „საქართველო" № 152.

### საბერძნეთი და ვენიზელოსი

საბერძნეთში ხმა დადის, ვითომც მთავრობას ჰსურდეს საბერძნეთის კონსტიტუცია გააუქმოს და ძველი დამოუკიდებული მონარქიული წეს-წყობილება აღადგინოს. ამ ამბავს მეტად შეუშფოთებია საბერძნეთის მინისტრად ნამყოფი ვენიზელოსი და მისი თანამოაზრენი, რომელთაც განუცხადებიათ, რომ თუ მთავრობა მართლა ამ გზას დაადგა, საბერძნეთში რევოლიუციას მოვახდენთო.

### ავსტრიელები ალბანეთში.

ინგლისურ გაზეთის ცნობით ავსტრიელებს და ბულგარელებს სულ მთლად მიუტოვებიათ ალბანეთი და ჯარი იტალეთის ასპარეზზე გადაუყვანიათ.

### ოსმალეთი და არაბეთის აჯანყება.

ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით ალი-ჰაიდარ-ფაშა მექკის შერიფად ხელ-ახლა დაინიშნა და რამდენიმე რაზმის და გერმანელთა თანხლებით ანატოლიისკენ გაემგზავრა. ალი-ჰაიდარ-ფაშას დავალებული აქვს არაბეთის წინაალმდეგ მოქმედება გააძლიეროს.

### სერბეთის გენერალ-გუბერნატორის გადაყენება.

გერმანული გაზეთები იტყობინებიან, რომ თანახმად მთავრობის განკარგულებისა სერბეთის გენერალ-გუბერნატორი გრაფი სალის-სევისი თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნა. ამ მოკლე ხანში სერბეთში მომქმედ ჯარის შტაბის უფროსსაც თანამდებობას ჩამოართმევენ.

თუ რა არის მიზეზი ამ განკარგულებისა გაზეთები არას ამბობენ.

### ოსმალების მდგომარეობა აჯანყებულ არაბეთში.

ეს ერთი ხანია არაბებმა ოსმალთა წინაალმდეგ აჯანყება მოახდინეს და არაბეთში მომქმედ ოსმალთა ჯარს დიდს წინაალმდეგობას უწევენ.

შუდამ დღე გაზეთებში ცნობებია დაბეჭდილი, იმის შესახებ რომ თავისუფლებისთვის მებრძოლმა მამაცმა არაბებმა ოსმათლა ჯარი დაამარცხეს და დიდს ზარალს აყენებენო.

31 მაისს არაბებმა ქ. მექქა აიღეს. მექქის მეციხოვნე ჯარი ქალაქის გარშემო მდებარე სანგრებში გამაგრდა და არაბებს დიდს წინაალმდეგობას უწევდა. არაბების შერიფს მეტი სისხლის ღვრა არა სურდა და ამიტომ ამ სიმაგრეების წინაალმდეგ იერიშები შეაჩერა. ეხლა ცნობები მოვიდა, რომ ოსმალნი აჯანყებულებს დაჰნებებიან. არაბებს ტყვედ წამოუყვანიათ 28 აფიცერი და 950 ჯანმრთელი და 150 ავადმყოფი ჯარისკაცი. ამას გარდა მრავალი საომარი მასალა და 4 ზარბაზანი დარჩენიათ დავლად.

მას შემდეგ, რაც აჯანყებულმა არაბებმა თავის ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და ოსმალთა ბატონობის წინაალმდეგ თავისუფლების დროშა აღმართეს, ოსმალებს დიდი ზარალი მიაყენეს მთელს არაბეთში.

ამ ჟამად ქ. მექქა არაბების ხელშია და მათი დროებითი მმართველობაა შემოღებული.

## დეპეშები

(„საქართველოს" საკუთარ კორესპ.)

**რიგის ფრონტზე ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. ბრძოლის ფრონტი თითქმის ყოველ დღე ფართოვდება. ექვს ივლისს ბრძოლა უფრო გამწვავდა. რიგაზე მრავალი ტყვე მოიყვანეს. ქალაქ რიგას გამუდმებით თავს დასტრიალებს მოწინაალმდეგეთა ჰაეროპლანები და ყუმბარებს ისვრიან, მაგრამ ზიანს ვერ აყენებენ. 5 ივლისს ცეპელინიც გამოჩნდა, მაგრამ განდევნეს.**

—

**ლუცკს მოწინაალმდეგეთა ჰაეროპლანები ყუმბარებს უშენენ.**

—

**ბულგარეთმა გერმანეთს მაშველი ჯარი მოსთხოვა.**

—

**გერმანელებმა კიდევ რვა ახალი დივიზია შეადგინეს. ამბობენ, გერმანელებმა ჯარი რუმინეთის საზღვრისკენ გაგზავნესო.**

—

**ამბობენ, მალე იტალია გერმანეთს ომს გამოუცხადებსო.**

—

**სალონიკის ფრონტზე ზარბაზნების მძაფრი სროლა სწარმოებს.**

—

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

**რუსეთის ასპარეზზე.** სმორგონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით გერმანელები დაკარგულ სიმაგრეების დაბრუნებას სცდილობენ. მაგრამ ჩვენი ჯარი მტერს კონტრ-იერიშებით იგერიებს. ვორონტისა და ტარტაროვის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა 483 ჯარის კაცი და 5 აფიცერი წამოიყვანა ტყვედ.

7 და 8 მკათათვიდან დღევანდლამდის ჩვენმა ჯარმა 27,000 ჯარის კაცი წამოიყვანეს ტყვედ.

—

**კავკასიის ასპარეზზე.** შავი ზღვის ნაპირებზე ჩვენმა ჯარმა ქ. ფოლუაილო და წინ იწევს. მდ. თეშიმ-ირმაკას მიდამოებში კიალკით-ჩევტლიკი ავიღეთ.

—

**საფრანგეთის ასპარეზზე.** მაასის მარჯვენა ნაპირით ფრანგებმა წინ წაიწიეს.

—

**ინგლისის ასპარეზზე** ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა.

—

უმაღლესი ბრძანებით გარეშე საქმეთა მინისტრი საზონოვი თანამდებობიდან გადადგა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა. მის ნაცვლად შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა იუსტიციის მინისტრი ხვოსტოვი. ხოლო იუსტიციის მინისტრად დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრი სენატორი მაკაროვი.

## დეპეშა

(საგანგებოდ „საქართველოსათვის").

**მოსკოვი. მოსკოვის ქართველობა გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს, ჭიათურის მრეწველობის გამოსყიდვის საქმეს. მთელი საქართველო თავს იყრის ამ საქმის გარშემო. ყოველი შეგნებული ქართველი ვალდებულია ნივთიერი მონაწილეობა მიიღოს ამ მრეწველობის შესაძენ ფონდის შედგენაში. მოსკოვის ქართველი საზოგადოების ყოველი კერძო წევრნი თავისს წვლილს შეიტანენ ამ საქმეში. კერძოდ მე ამ საქმისათვის, ჩემთვის სავალდებულოდ მიმაჩნია ამ ფონდისათვის ასი თუმანი გადავდო. დიდს იმედებს ვამყარებთ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოზე.**

**მოსკოვის ქართველ საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი მიხეილ ზანდუკელი.**

## ახალი ამბავი

◆ **ეპისკოპოსი კირიონი, რომელსაც აქამდის ებარა პოლოცკის და ვიტებსკის კათედრა, გადმოიყვანეს ასტრახანში, ეპისკ. ფილარეტის ადგილზე** (ნ. ვ.).

◆ **ბათომის ოლქის** სამხედრო გუბერნატორმა გადასცა ქუთაისის მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მმართველობას 18 თხოვნა პოლტაველ თავად-აზნაურთა, რათა მათ მიეცეს მიწები შავი ზღვის ნაპირას, ტრაპიზონის არე-მარეში; გუბერნატორის ცნობით მთხოვნელები მსხვილი მესაკუთრენი არიან და მათ სურთ მაღალი ხარისხის კულტურის გაშენება.

◆ **თანახმად სათათბიროს** საბიუჯეტო კომისიაში წარდგენილ ცნობებისა კავკასიის პოლიტეხნიკუმის ასაშენებლად მეფის ნაცვლის განკარგულებაშია 2.216,589 მანეთი; აქედან ნაღდ ფულად 585,489 მანეთია; დანარჩენი გადასახდელია კავკასიის საზოგადოებრივ დაწესებულებათა მიერ.

◆ **პეტროგრადის სომეხთა კომიტეტმა** აცნობა ბაქოსას, რომ მან გარდასწყვიტა არ აღმოუჩინოს ქონებრივი დახმარება იმ სომეხ-ლტოლვილთ, რომელთაც განუზრახავთ ამერიკაში გადასახლება, რათა ამით ხელი არ შეუწყოს „სამშობლო მიწა-წყლის" დატოვებას.

◆ **ქალაქის სამხედრო ბეგრის** საკრებულოს მომავალ ჯარში გაწვევის გამო აუარებელი მთხოვნელი აწყდება და თვის უფლებებს ჯარში გაწვევის შესახებ ამოწმებს. პირველი დღე გაწვევისა 15 მკათათვესაა დანიშნული ხოლო გამოცხადების დღე სამხედრო უფროსთან 18 მკათათვეს.

◆ 1 და 2 ხარისხოვანთა შორის თბ. ტრამვაის მსახურთაგან აუარებელი მოსამსახურე ჰყვება. საელოქტრონო სადგურის ყველა მუშები ჰყვება.

## ვუძღვნი

**ჩემის ძმის ვაჟაფშაველას ხსოვნას სამარესთან ყოფნის გამო.**

ძმის საძებნელად წამოველ
წინ არსად შამომეყარა:
ვეძახენ, ვერ გავაგონე,—
ზედ გრილი მიწა ეყარა.

იქნება გავაცოცხლებდი,
სამარე გადამეთხარა?
საშველს ვეძებდი გულისთვის,
წამალი რამე მეხმარა.

ბევრი ვიტირე და სევდა
მაინც არ გადამეყარა,
გული არ მორჩა მაინცა
ზედ შავი ლოდი ეფარა.

მიმოვიხედე, მაგრამ რას
წყვდიადი იყო ყველგანა,
ნეტა რა ნუგეშს მომცემდა
ჩემი ტანჯული ქვეყანა?
მშიერ-მწყურვალი, მტირალი
აჩრდილი იდგა ჩემთანა!

ჩამძინებოდა. ძმა ვნახე
ცოცხალი მხიარულადა.
დამჰყივლა, შემომცინოდა,
მკოცნიდა მხიარულადა,

მეტყოდა: „რა დაგმართნია,
რადა ხარ მგლოვიარეო?
გაჰხედე: აყვავებულა
ჩვენი სამშობლო მხარეო".

აღარც სიკვდილის აჩრდილი,
აღარც ნაღველი მწარეო,
იშვებდა დიდი, პატარა,
მშიერი, გულმწუხარეო.
იყო დრო გაზაფხულისა,
ჰყვაოდა არე-მარეო.

ავდეგ, ღმერთს მადლობა შევსძღვენ
მისთვის, რაც ზევით თხრობილა.
ეჰა! ვნებული გულისთვის
წამალიც შიგვე ყოფილა.
და სიცოცხლეზედ სიზმარი
უფრო საამო ყოფილა.

**ბაჩანა.**

— სასოფლო სამეურნეო აღწერილობის მოსამსახურენი 2000 რიცხვიდან 1500 კაცი გაჰყავთ ჯარში.

— ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთაგან დატოვებულ იქნებიან იმ დაწესებულებებიდან რომელნიც ომის საჭიროებაზე მუშაობენ.

— სომეხთა საქვ. მოქმ. და ცენტრ. კომიტეტის გამგეობებმა შუამდგომლობა აღძრეს, იმ დაწესებულებებიდან, რომელნიც 300 ათას ლტოლვილთა ბედს განაგებენ განთავისუფლებულ იქმნენ მოსამსახურენი.

— საკომერციო ბანკის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მოსამსახურეთა განთავისუფლების შესახებ.

— სამეურნეო აღწერილობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, აღმწერელნი 15 აგვისტომდე გაანთავისუფლონ.

— სასინოდო კანტორიდან 12 კაცი მიდის.

— სადეპუტატო საკრებულოდან მიდის 3 კაცი.

◆ **თბილისში ჩამოვიდა** სამკურნალო მცენარეულობის შემგროვე კომისიის თავმჯდომარე ბ. სასნოვსკი, რომელსაც ქუთაისში მთელი წყება ლექციებისა წაუკითხავს.

◆ **საკვები ფული.** სოფლისა და ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელ ვაჟთა და ქალთა დაინიშნათ დღიური საკვები ფული და ჯამაგირების მომატება 5 წლის ნამსახურობაში.

◆ **დუქნების გაღება.** გუშინ ქალაქის უმთავრეს ქუჩებზე სავაჭრო სახლები გაიღო. ზოგი ნახევრად დაკეტილი ვაჭრობდა. პუშკინის ქუჩაზე არ გაღებულა დუქნები.

◆ **კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში** დღეს კრებაა დანიშნული რომელზედაც განხილულ იქნება საკითხი სასოფლო სამეურნეო სამუშაოების შესახებ რომელიც დაკავშირებულია ჯარში გაწვევაზე.

◆ **გაემგზავრა მცხეთას** გორის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ანტონი სიონის კანდელაკ დეკ. თოთიბაძესთან ერთად.

◆ **ქართულ პანთეონის** სასარგებლოდ ერევნიდან ქ-ნ დესპინე სიდავასაგან ქ. შ. წ.-კ. გაბავრცელებელ საზ. გამგეობამ მიიღო 150 მან.

◆ **მასწავლებელთა კურსები.** როგორც ბორჯომიდან გვატყობინებენ, გუშინ გახსნილა მასწავლებელთა კურსები ბუნების მეტყველებისა და სასოფლო-სამეურნეო ცოდნათა შესასწავლად, კურსები 50 მსმენელზეა განზრახული.

◆ **მეფუტკრეობის კურსები.** გამოცდაზე დაშვებულ იქმნა 39 კაცი, მათ შორის პირველ ხარისხის მოწმობა მიიღო 9 კაცმა, მეორე ხარისხისა 23 კაცმა, 7 კაცი ჩაიჭრა. პირველ ხარისხის მოწმობით დაჯილდოებულ იქმნა დეკ. კირილე ღვთისავრიშვილი.

◆ **ახალ კლუბში.** ახალ კლუბში მოსამსახურენი, რიცხვით 42 კაცი რომელნიც მამასახლისთა საბჭოს მიერ იყვნენ დათხოვნილი, გუშინ დილიდან კვლავ მიღებულ იქმნენ სამსახურში და მუშაობას შეუდგნენ ისევ ძველ პირობებში.

◆ **ტრამვაის მოსამსახურეთა შუამდგომლობა** შესახებ სასყიდლის მომატებისა, როგორც ვიცით, ქალაქის საბჭომ წინასწარ განსახილველად გადასცა იურიდიულ კომისიას. ამ უკანასკნელს გადაწყვეტილი პასუხი უნდა მიეცა 4 საკითხისათვის: 1) შეუძლიან თუ არა ქალაქს ასწიოს ტრამვაის ბილეთების ფასი; 2) ტრამვაი თუ ისევ უსახელო საზოგადოებას დაუბრუნდა, სავალდებულო იქნება მისთვის თუ არა საბჭოს დადგენილება შესახებ ჯამაგირების მომატებისა მოსამსახურეთათვის; 3) თუ ტრამვაი ისევ დაუბრუნდა უსახელო საზოგადოებას, ქალაქს შეუძლიან თუ არა პირვანდელი ტარიფი აღადგენინოს მას; 4) ტარიფის აწევა ნაძალადევის ლიანდაგზე, რომელიც ისევ უსახელო საზოგადოებას ეკუთვნის, ქალაქს შეუძლიან თუ არა.

იურიდიულმა კომისიამ ამ კითხვებზე შემდეგი დაადგინა: ა) ქალაქის თვითმართველობას უფლება აქვს ასწიოს სამოგზაურო ბილეთების ფასი, ბ) ჯამაგირების გადიდება მოსამსახურეთათვის სავალდებულო იქნება უსახელო საზოგადოებისათვის, თუ ტრამვაი ისევ იმის ხელში გადავიდა, გ) ქალაქს უფლება ექნება პირვანდელი ტარიფი შემოაღებინოს უსახელო საზოგადოებას, თუ ტრამვაი მას დაუბრუნდა. დ. ტარიფის გადიდება ნაძალადევის ლიანდაგზე ქალაქს შეუძლიან უსახელო საზოგადოებასთან შეთანხმებით.

კომისიის წევრი ა. ი. მიტკევიჩი ცალკე აზრის დარჩა შესახებ ტარიფის გადიდებისა, სანამ სასამართლოში დავა არ დამთავრდება.

◆ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ზარალი.** 7 ამა თვეს, საღამოს 8 საათზე, ელისაბედის ქუჩაზე, ლუიზა მიდერის ლუდის ქარხანაში, სადაც კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების გოგირდი ეწყო დასაფქვავად, ცეცხლი გაჩნდა. გოგირდის ერთი ნაწილი გადარჩენილ იქმნა, ხოლო დანარჩენი დაიწვა. საქონელი დაზღვეული არსად ყოფილა. რამოდენი გოგირდი დაიწვა, ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ ეს კი იციან, რომ ზარალი რამდენიმე ათი ათასი მანეთისა იქნება. ცეცხლის ჩაქრობა მით უფრო გაძნელდა; რომ ქალაქის წყალსადენის ონკანი წყალს არ იძლეოდა. ვინ არის პასუხის მგებელი ამ ზარალისა, არ სჩანს, რადგან დასაფქვავად გოგირდი აღებული ჰქონდა ბ-ნთ მამრაძეს და პარას, მაგრამ ვის მოვალეობას შეადგენდა ცეცხლისაგან საქონლის უზრუნველყოფა, გარკვეული არ არის.

◆ **საქველმოქმედო საზოგადოებაში.** როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სოხუმის განყოფილების წევრნი სჩიოდნენ, რომ აქაური განყოფილების გამგეობა რიგისამებრ ვერ საქმიანობს, უნარს ვერ იჩენს, კრებას არ იწვევსო და სხ. საქმის გამოსარკვევად მთავარმა გამგეობამ გაუგზავნა სოხუმში საზოგადოების მდივანი ბ-ნი პ. საყვარელიძე, რომელიც დეპეშით იუწყება, რომ თანამდებობაზე ისევ ძველი გამგეობა დარჩა დროებითო.

◆ **შემოიტანეს თბილისში:** ფქვილი 3 ვაგ., შაქარი 3 ვაგ., ღვინო 2 ვაგ., ხილი 4 ვაგ., ნავთი 1 ვაგ. გაუწმენდავი ნავთი 6 ვაგ., კარაქი 344 ფუთი, ყველი 40 ფუთი, კვერცხები 103 ფუთი და ბაკლაჟანი 247 ფუთი.

◆ **საზოგადო კრება.** დღეს, 12 მკათათვეს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია კრება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა. კრება უნდა მოისმინოს და განიხილოს სარევიზიო კომისიის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ 1915 წლის განმავლობაში.

◆ **პოეტი აბაშელიც** მოჰყოლია მეორე რიგის მოლაშქრეთა სიაში, რომელსაც სამხედრო სამსახურში იწვევენ, ამ ჟამად აბაშელი აბასთუმანში იყო სამკურნალოდ და ეხლა თბილისში ჩამოვიდა.

◆ **თბილისის გუბერნატორმა** საჭიროდ სცნა და შუამდგომლობა აღძრა, რომ ბალეულობის გადმოსაზიდად ვაგონები „უნარიადოდ" დაუთმონ მთხოვნელებს. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნა, მაგრამ რკინის გზის სადგურების უფროსები ვაგონებს არ აძლევენ მთხოვნელებს. ბ-ნმა გუბერნატორმა ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და მოითხოვა, რომ სადგურების უფროსებმა შეასრულონ მისი თხოვნა.

◆ **მარშლების დამტკიცება თანამდებობაზე.** ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად თავ. კ. ნ. აფხაზი, ხოლო თავ. დ. ო. ნიჟარაძე—ქუთაისის გუბერნიისა.

◆ **საქონლის დამალვა.** ახალი ნიხრის დამტკიცების შემდეგ თბილისის ბევრი ვაჭარი ჯერ კიდევ მალავს სახეირო სანოვაგეს. მანუფაქტურის ბევრი მაღაზია ისევ დაკეტილია და კარები და ფანჯრები ფიცრებითაა აჭედილი, ხოლო იმ მაღაზიებში, რომლებიც გააღეს პატრონებმა, საქონელი არ მოიპოვება, სადღაც დამალულია. ჯერ-ჯერობით ამ მოვლენის წინაალმდეგ არავითარი ღონისძიება არ არის მიღებული.

◆ **თავშესაფარის გახსნა.** გ. ე. ცინცაძეს, რომელიც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობის მიერ გაგზავნილია ახალციხის მაზრაში, დაუარსებია სოფელ უდეში თავშესაფარი ლტოლვილთა და ომიანობისაგან დაზარალებულთა ბავშვებისათვის. თავშესაფარი უკვე უკურთხებიათ და უპატრონო ბავშვებიც ბლომად შეგროვილა. თავშესაფარში წერა-კითხვასაც ასწავლიან ბავშვებს.

◆ **ავსტრია-უნგრეთის ასპარეზზე** დასჭრეს და პორუჩიკის ჩინით დააჯილდოვეს პოდპორუჩიკები: აკაკი იოსებ. ხარაიძე და ირაკლი ნესტორის ძე ჯიხვინაძე. ამ ჟამად ორნივე თბილისში № 38 ლაზარეთში წვანან.

◆ **თბ. სათავად-აზნ. გიმნაზიიდან** ჯარში გაიწვიეს 1896 წ. დაბადებული მოწაფენი, როგორც მიღებულ ცირკულიარში სწერია მომავალში გიმნაზიიდან გაიწვევენ 1897 წ. დაბადებულთ.

◆ **ქუთ. ქართულ გიმნაზიის** გამგის ცნობით, ჯერ მას არავითარი განკარგულება არ მიუღია გიმნაზიიდან მოწაფეთა ჯარში გაწვევის შესახებ.

◆ **კავ. სასოფლო სამ. საზოგადოებას,** როგორც მისმა მდივანმა გადმოგვცა, ათი ათას მანეთამდე მოუვიდა ზარალი ცეცხლისაგან, რომელიც გაუჩნდა საზოგადოების გოგირდს 7 ამა თვეს ელისაბედის ქუჩაზე.

◆ **გაჭირვება სოფლად.** შორაპნის მაზრაში დიდი გაჭირვება ყოფილა საკვების უქონლობის მიზეზით. ამიტომ იქაურმა [illegible] სთხოვა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას. ამ უკანასკნელმა სხვაგან ვერსად იშოვა საკვები მასალა და მიმართა თელავის საკრედიტო დაწესებულების თავმჯდომარეს ბ-ნ დ. ლუკაშვილს. ლუკაშვილმა 2 ვაგონი სიმინდი დაუთმო საზოგადოებას ნასყიდობის კვალობაზე. სიმინდს ამ დღეებში გაგზავნიან ზესტაფონში.

### პეტროგრადი

ახლო მომავალში ქართველთა ახალშენი თავის საკუთარ ეკლესიის აგებას შეუდგება. ახალი ეკლესია პეტროგრადის საეპარქიო მმართველობას დაექვემდებარება.

### ბახმარო

ოზურგეთიდან ჩამოსულმა გადმოგვცა, რომ წელს ბახმაროზე აუარებელ მოაგარაკეებს მოუყრიათ თავი. ყველა ოთახები დაჭერილი ყოფილა. ამის გამო მოხ. საზოგადოება „ჯანმრთელობის" გამგეობამ ქართული გაზეთებისათვის დეპეშაც კი გაუგზავნია, რომლითაც ბახმაროში წამსვლელთა მსურველთ აფრთხილებენ ნუ ამოხვალთ, თორემ უბინაოთ დარჩებითო. საქველმოქმედო საზოგადოებამ თუ ფქვილი არ მიაშველა მოსალოდნელია უპურობაც.

### თელავი.

თელავის მაზრის სოფ. შალ-ურის მცხოვრები—გიორგი ალექსანდრეს ძე ლაფაური — მსახურობდა თბილისის „გრუზინსკი" დრუჟინაში მე-2 ასეულში, მე-2 ზვოდში. მონაწილეობას ღებულობდა სპარსეთში. 7 თვეა რაც მის შესახებ არაფერი ცნობა არ მოსდით მის მშობლებს; თხოულობენ თუ ვინმე რამე იცის მის შესახებ, აცნობონ ქ. თელავში ხარაზს ფიდო აბრიას ძე ბიძინაშვილს.

21 თიბათვეს, აქაურ საზოგადო სამკითხველოს სასარგებლოდ გამართულ სეირნობიდან შემოსავალი იყო 898 მან. 96 კაპ. გასავალი 363 მან. 36 კაპ. წმინდა მოგება დარჩა 535 მან. 60 კაპ.

— ამ დღეებში თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობამ მიიღო 4 ვაგონი გოგირდი.

— ამ რამდენიმე დღის წინათ აქ მოვიდა თბილისის საბოტანიკო ბაღის ბოტანიკი ბ-ნი ა. გროსგეიმი და ყიდულობს სამკურნალო მცენარე ძაღლყურძენას (ფერი-ფერ) ფოთოლს ფუთს 6 მანეთად და მის ნაყოფს 20 მანეთად.

## როგორ უნდა მოვიქცეთ

(საკრედიტო ამხანაგობებთა საყურადღებოთ).

გასულსა და მიმდინარე წელს ყოფილმა სიმშილობამ იმდენი ვერა დააკლო რა აღმოსავლეთ საქართველოს. სასურსათო კრიზისმა განვლო, და უნდა ვსთქვათ, რომ სიმშილთან ბრძოლას დიდი შრომა მოანდომა ხალხმა. მომავლისთვის შედარებით უფრო დიდ სიმშილს უნდა მოველოდეთ. ბევრი იფიქრებს, რომ თუ წელს გაუძღებით, საქმეს მერმისსაც ისევე იქნებაო, მაგრამ ნუ დაივიწყებენ საკრედიტო ამხანაგობები, რომელნიც მეთაურობდენ სასურსათო საქმეს, იმას, თუ რა გასაჭირით და სიძნელით უხდებოდათ მათ მუშაობა და რა ძვირად დაუჯდათ მათ ეს საქმე.

სანოვაგე, რომელიც საჭირო იყო მაგალითად ქრისტეშობისთვეში, მიიღეს მხოლოდ აპრილში და მანამდე კი ხალხი ჩარჩებს აძლევდა ფუთ ხორბალში 3 მან. და ზოგან მეტსაც. ამასთანავე თვით ამხანაგობათა მიერ შეძენილი სანოვაგე შედარებით ძვირი იყო. აძლევდნენ 5 ფუთიან ტომარა ფქვილში 14 მან. საშუალოდ და ფუთ ხორბალში 2 მან. 40 კ.

ამრიგად აღმოსავლეთ საქართველოში შემოვიდა 600,000 ფუთი ფქვილი და ხორბალი.

ყველაზედ მოხერხებულად ჰქონდა საქმე დაყენებული თელავის ამხანაგობას, ამ უკანასკნელმა უფრო იაფად მოიტანა საქონელი, რადგანაც ადრე დაიწყო საქმე და ცოტა თანხაც ჰქონდა.

ყველა ამისდა მიხედვით მოუწოდებთ საკრედიტო ამხანაგობებს და კოოპერატივებს, რომ ეხლავე შეუდგნენ საქმის თადარიგს. ამჟამად დაახლოვებით ყველამ იცის რამდენი იქნება საჭირო სანოვაგე თავის რაიონისთვის.

წელს ფასები ყუბანის ოლქში და ჩრდილო კავკასიაში, საიდანაც შემოდის ჩვენში სანოვაგე, საერთოდ 25% მეტია ვიდრე შარშან აგვისტოში და სექტემბერში იყო. მაშინ ხორბლის ყიდვა შეიძლებოდა ფუთი 80 კ.—1—20 კაპ., წელს კი 1 მან., 1 მან. 35 კაპ.; ფქვილი 5 ფუთიანი ტომარა 9 მან. 50 კ., წელს 12 მან. ე. ი. თუ ეხლავე დაეტყო ფასების აწევა უნდა წარმოვიდგინოთ რა იქნება მოყოლებული ნოემბრიდან. ფასები დადგება 3 მან. 40 კ. ფუთ ხორბალზედ და 17 მან. 5 ფუთიან ტომარა ფქვილზედ (რაზმოლზედ).

ბევრი ხარჯისა და გაჭირვების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ამ თავითვე მოქმედება.

საქმის დაწყებისთვის საჭიროა თანხა. ამ ჟამად ამხანაგობებს საქმეები აწეწილი აქვთ. ჯერ ძველი საქმეები არ გაუსწორებიათ, თანხას მაინც შექმნიან. თუ წევრები ვერ შეჰქმნიან და სახელმწიფო ბანკიდანაც ვერაფერს გამოიტანენ, მაშინ არის ერთი საშუალება. უნდა გაიხადოთ ფულის შესანახად შემომტანად („вкладчикад"), რომელიმე საურთიერთო ნდობის ამხანაგობა: მაგალითად „თბილისის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოება". ამ საზოგადოებას უნდა წარუდგინოს საკრედიტო ამხანაგობამ თავისი ბალანსი კანონიერად შემოწმებული და აგრეთვე წიგნაკი (Вкладная книжка) გამგეობის წევრების და თავმჯდომარის ხელმოწერით და ბეჭედ დასმული. ბალანსის მიხედვით მოგცემენ ბალანსის ათ პროცენტს შესანახად. დრო შენახვისა მორიგებით იქნება—10 თვე, 11 თვე, იმისდა მიხედვით, თუ როდის შესძლებს საკრედიტო ამხანაგობა დაუბრუნოს „вкладчик"-ს თავის ფული პროცენტებით. ვთქვათ რომელიმე პატარა საკრედიტო ამხანაგობას აქვს ბალანსი 10,000 მან. ანუ „вклад"-ს მიიღებს 1,000 მ. ამ ფულით შეიძლება ყიდვა 5 ვაგონი ხორბლისა ანუ 3 ვაგონი ფქვილისა, რომელიმე ბანკის საშუალებით. ნაჩვენებ ათას მანეთს შეიტანთ ბანკში და სთხოვთ მოგეცეთ აკრედიტივი. აკრედიტივით აკმაყოფილებთ გამყიდველს (ბანკი სრულ ღირებულებას მისცემს გამყიდველს და საქონელს დაედება ვალი ბანკისა, რომელსაც გადიხდით როცა საქონელს მიიღებთ).

დარჩა ერთი საკითხი გასარჩევი: სარფაა თუ არა საკრედიტო ამხანაგობამ აძლიოს „вкладчик"-ს 8% და ბანკს, რომლის ვალიც დაედება საქონელს, $8^1/_2$%. ამიტომ საჭიროა ციფრებს მივმართოთ. ვთქვათ 30,000 მან. ბალანსიდან ამხანაგობამ მიიღო შესანახად 3,000 მან. ერთი წლით. წლის ბოლოში სარგებელი გადიხადა 240 მან.

ზემოხსენებული ფულით დაიკვეთა 8 ვაგონი ხორბალი, ნაყიდი ფუთი 1 მ., დანარჩენი ფული 600 მ. ხარჯად ჩავთვალოდ საქმის დამთავრებისათვის. ბანკის ვალიც დაედება 8 ვაგონ ხორბალს 5,600 მან. ვალი ედო საქონელს 6 თვე. 6 თვის სარგებელი 5,600 მანეთისა ბანკს ერგება $8^1/_2$%-ზედ 485 მან. სულ ხარჯი 1315 მან.

ფუთზედ აბაზი წაუმატოთ ხარჯის დასაფარავად, ეღირება 1 მან. 20 კ. სარკინიგზო ტარიფის 25 კ. ე. ი. ფუთი ხორბალი სადგურზედ, რომელზედაც ამხანაგობა მოიტანს ეღირება ფუთი 1 მ. 45 კ. და ამ ფასში გაყიდული ხორბალი სულ დაფარავს მთელ ხარჯებს. **კოდი სოფელში მიტანით ეღირება 6 მან.—6 მან. 50 კ. სულ ბევრი.**

წელს კი გლეხობა ყიდულობდა ამხანაგობებისაგან კოდს 11 მანეთად.

8 ვაგონის მყიდველს მეტი უნდა მიეცა 8,000 მანეთამდე და ეს ფული ხალხის ჯიბიდან ამოვა. ისედაც გაღატაკებულ-განიავებულ ხალხს ასეთი ხარჯები სულ ბოლოს მოუღებს. იმედია ჩვენი ამხანაგობების ყოჩაღი წარმომადგენლები ეხლავე ითავებენ. საჭიროა საქმის გასაადვილებლად შეერთება ამ საქმეში იმ რაიონის ამხანაგობებისა, რომელთაც ერთი სადგური აქვთ.

არის კიდევ ერთი დაბრკოლება. ამხანაგობათა წარმომადგენლებმა ხშირად არ იციან ტეხნიკა, საქმე როგორ მოაწყონ. ამისათვის მომმართონ „საქართველოს" რედაქციაში ყველა ცნობების მისაღებად, რომელიც საჭიროა 1) თუ სად იყიდონ სანოვაგე (რომელ მხარეში), 2) როგორი ხელწერილი დაუდონ, 3) ვისა სთხოვონ ვაგონები და რომელ ინსტანციებთან გექნებათ საქმე, 4) როგორი განცხადება შეიტანონ ბანკებში აკრედიტივისათვის და სხ. და სხ.

ვიმედოვნებთ ამხანაგობები აღარ დააყოვნებენ საქმეს, თორემ დაყოვნება მხოლოდ ზარალს გამოიწვევს, ვინაიდან ხორბალი და სხვა საქონელი დღითი დღე ძვირდება.

ამხანაგობათა წევრებმაც უნდა ხელი შეუწყონ თავის წარმომადგენლებს და საქმე არ გაუჭირონ არც ზნეობრივად და არც ნივთიერად.

**ი. ამირეჯიბი.**

# საფეიქრო სახელოსნოები

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების დავალებით ამავე საზოგადოების ინსტრუქტორ-ქალ ქ-ნ ნინო გლურჯიძეს დაუთვალიერებია (16 თიბათვიდან ვიდრე 3 მკათათვემდე) მცხეთის, საგარეჯოს ქარელის, მეჯვრისხევის და ქურთის საფეიქრო სკოლები. ქ-ნმა გლურჯიძემ უკვე წარუდგინა საზოგადოებას ვრცელი მოხსენება ამ სახელოსნოების მდგომარეობის შესახებ. მოგვყავს ამ მოხსენების უმთავრესი ადგილები.

**სოფ. საგარეჯოში**

ს. საგარეჯოში სულ 40 ვერსით არის დაშორებული თბილისზე. კახეთის რკინის გზამ უფრო გააადვილა. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი კულტურული საქმისთვის საზოგადოთ და კერძოდ საფეიქრო სახელოსნოსათვის ადვილია მასალის მიტანა, მანქანების დამზადება, შეკეთება და სხვ. თითონ სოფელი ბუნებით მდიდარია 1000 კომლზე მეტი მცხოვრებია და უფრო დაბას წარმოადგენს ვიდრე სოფელს.

ძველადვე აქ მისდევდნენ მეაბრეშუმეობას და ეხლაც მისდევენ ამ დარგს, თუმცა არც თუ ისე ფართოდ აწარმოებენ ამ საქმეს როგორც დასავლეთ საქართველოში. მატყლი ადვილი საშოვარია, რადგან ცხვარი ბევრსა ჰყავს. ყველა ეს ისეთი პირობებია, რომელიც საფეიქრო სახელოსნოს მომავალს უზრუნველ ჰყოფს.

საგარეჯოში საფეიქრო დაარსებულა 1915 წ. გიორგობისთვიდან, ქართულ სამეურნეო საზოგადოების შემწეობით და ქ-ნ ა. ა. კაპანაძის თაოსნობით. რამდენიმე თვის განმავლობაში მოწაფეებს ისე კარგად შეუსწავლიათ ეს ხელობა, რომ ყოველივე მათგანი დღეში 3—4 არშინ ტილოს ან სარპინკას ქსოვს. არშინი ასეთი ნაქსოვისა ღირს 5 კაპ.

სასწავლებელში სულ 16 შეგირდია: 15 მართლმადიდებელი, ხოლო ერთი გრიგორიანი. სახელოსნოში დღეს 7 საქსოვი დაზგა სდგას, აქედან სამი დაზგა კავკასიის კუსტარულ საზოგადოების მიერ მიცემული, ხოლო ოთხი თვით მასწავლებელ ქალ. ა. კაპანაძეს შეუდგენია და საქმე ამით გაუფართოებია.

სახელოსნო ფრიად კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზედ. მოწაფეებს როგორც თეორეტიული, ისე პრაქტიკული ცოდნა კარგა აქვთ შეთვისებული. სასწავლებლის დღევანდელი მდგომარეობა სრულ იმედს გვაძლევს, რომ თუ არაფერმა შეუშალა ხელი, საქმე განვითარდება და ფრიად საგრძნობელ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას. ეს სასწავლებელი მოგვცემს ისეთ პირებს რომელნიც შესძლებენ სხვასაც შეასწავლონ ეს ხელობა.

**სოფ. მცხეთაში**

მცხეთის საფეიქრო სკოლა კავკასიის შინამრეწველობის საზოგადოების მიერ არის დაარსებული. საფეიქრო მცხეთის სამთავრო დედათა მონასტრის შენობაში მოთავსებული. აგერ 4 თუ 6 წელიწადია რაც გახსნილია ეს სახელოსნო, მაგრამ წინსვლა და განვითარება არ ეტყობა. მიმდინარე წელს სწავლა დაუმთავრებია 12 ქალს. 3 მათგანს 4 კლასის სამინისტრო სკოლა აქვთ დამთავრებული. საფეიქროს მასწავლებლად არის ქ-ნი მარქარიანცი, რომელიც კუსტარულ საზოგადოების მიერ არის დანიშნული. ქ-ნ მარქარიანცის აზრით სახელოსნოს ჩამორჩენის მიზეზი ბინის სივიწროეა, რაც ხელს უშლის საქმის გაფართოებას.

**სოფ. ქარელში**

ქარელის საფეიქრო სკოლის დასათვალიერებლად ქ-ნი გლურჯიძე გამგზავრებულა გორის საქვ. მოქ. საზ. განყოფილების მდივნის ბ-ნ ი. მაჭავარიანთან ერთად.

საფეიქრო ჯერ ყოფილა კარგმდგომარეობაში, მეტადრე კალათების წნვის განყოფილება, რომელიც მოთავსებული ყოფილა იქ სადაც ამ ჟამად არიან ლტოლვილ სომეხთა ბავშვები. რადგან იმ შენობას ასუფთავებდენ, სწერს ქ-ნი გლურჯიძე, და ამზადებდნენ მთლად გარედ გამოეყარათ სახელოსნოც და ორი მასწავლებლის ბარგიც და აგრეთვე კალათების განყოფილების და საფეიქროსი.

ქართული საფეიქროც კავკასიის შინამრეწველობის საზოგადოებას ეკუთვნის. ეს საფეიქრო დაარსებულა კნ. ბაგრატიონ-დავითიშვილის თაოსნობით ამ ოთხი წლის წინად. აღსანიშნავია რომ ამ სახელოსნოსათვის დახმარება აღმოუჩენია თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობასაც.

კნ. ბაგრატიონ-დავითიშვილისას მიუცია 3 პატარა დაბალი და ბნელი ოთახი. 1 ეკუთვნოდა მასწავლებელს, ორში მოთავსებულა სახელოსნო. მიუხედავათ სივიწროვისა შეგირდების რიცხვი პირველად 60 ყოფილა. შემდეგ კი შინამრეწველობის საზოგადოებას მოეწერა 15 მოწაფეზე მეტი ნუ იქნებაო. სახელოსნოს დათვალიერების დროს მოწაფენი არ დახვედრიან. ნამუშავრის დათვალიერების შემდეგ დარწმუნებულა რომ მოწაფეებს საქმე კარგად შეუთვისებიათ. მალე ეს სასწავლებელი ახალ პირობებში ჩადგება. მასწავლებელი ქალი კარპენკო—კნ. ციციშვილისა თავს ანებებს საფეიქროს.

კნ. ბაგრატიონ-დავითაშვილისას სახლი და ეზო სულ მთლად მიუქირავებია სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებისათვის სამი წლის ვადით წელიწადში 1500 მანეთად. თითონ გამგეს ამ „სომეხთა საქ. მოქმ. საზოგადოებისას უთქვავს რომ იქნება 250 ლტოლვილთა ბავშვიო, კარპენკო—კნ. ციციშვილისას კი განუცხადებია რომ შეიძლება სამასზედაც მეტიო.

საფეიქროც უეჭველია ამათ ხელში იქნება, და გამგედ მცხეთის საფეიქროს მასწავლებელს ქ-ნ მარქარიანცს ნიშნავენო. კარპენკო—კნ. ციციშვილისა კი მცხეთაში გადაჰყავთო, რაზედაც უკანასკნელს უარი განუცხადებია.

შესაძლოა ჩვენს სოფლის ბავშვს უარი არ უთხრან საფეიქროში სწავლებაზე, მაგრამ ჩვენი სოფლის ბავშვი ისეთი მკრთალი და მორიდებულია რომ 200 და 300 უცხო ბავშვში არ ჩაერევა. ან რას გაიგებს კიდევაც რომ იაროს სახელოსნოში. იქ უფრო და მეტი წილი იქნება სომხური ენა, ქართველ ბავშვებს კი გაგონებითაც კი არ გაუგონიათ სომხური ენა არამც თუ ცოდნით.

**სოფ. მეჯვრისხევში.**

ს. მეჯვრისხევი ბუნებით, პირობებით და გარემოებით არ ჩამოუვარდება ს. საგარეჯოს. ამ ორი სოფლის სახელოსნოების წარსული და მომავალი თითქმის ერთია.

ქალთა „მანდილოსნის" საზოგადოება ძალიან ენერგიულად შესდგომია საქმეს. დაუკვეთიათ 20 ფუთი მატყლი, რომლისაგანაც უნდა დაამზადონ საფეიქროსთვის ძაფი; ამზადებენ აბრეშუმის ძაფს და ცდილობენ ცოტაოდენ ხელის ძაფიც შეიძინონ. მოსწავლეთა რიცხვი ოღონდ ადგილი იყოს და 200 მეტი იქნება. საქმეს აღარაფერი უდგია წინ, მხოლოდ ერთი საკითხია გადაუწყვეტელი:

„მანდილოსნის" საზოგადოებას მიუმართავს თხოვნით შინამრეწველობის საზოგადოებისათვის რომ მათ გაუწიონ დახმარება და მისცენ რომელიმე სახელოსნოდან თავიანთი მოწაფე ამ საქმის მცოდნე ქალი (ანუ საფეიქროსი და ამ მასწავლებლის ხარჯი შინამრეწველობის საზოგადოებამ იკისროს. ამ თხოვნაზე შინამრეწველობის საზოგადოებას უარი უთქვამს.

ასე რომ მანდილოსანთა საზოგადოება ეხლა საქველმოქმედო საზოგადოებასა სთხოვს დაეხმაროს და უშუამდგომლოს კავკ. შინამრეწველობის საზოგადოების წინაშე, ერთი წლით მაინც დაეხმარონ და მისცენ მათ მასწავლებელი ანუ ხელმძღვანელი.

**სოფ. ქურთაში.**

ქურთელებს ჯერ-ჯერობით არა აქვთ რა მზად. ოთახი რომელშიაც უნდა მოწყობილ იქნეს სახელოსნო კარგა მაღალია, ფართე და სინათლიანი, მაგრამ ჯერ გაუმართავი. მასწავლებელი რომელსაც წელს დაუმთავრებია მცხეთის სკოლა, უკვე დანიშნულია შინამრეწველობის საზოგადოებისაგან; საფეიქროს ჯერ მხოლოდ ერთი საფეიქრო დაზგა აქვს, მალე დანარჩენ სამსაც შეიძენენ. სწავლა უსათუოდ ენკენისთვიდან დაიწყება.

**პ—ი.**

# დაბა-სოფლები

**ბახმარო** (გურია). მიუხედავად ათასგვარი გაჭირვებისა წელს ბახმაროზე აუარება „მოჰაერემ" მოიყარა თავი და ბევრი კიდევ აპირებს გამგზავრებას. საავარაკო სახლები უკვე დაჭერილია და ბევრი ცხადია უადგილობისა გამო ან უკან დაბრუნდება ან-და ნაცნობს შეაფარებს თავს—სხვასაც შეაწუხებს და თავსაც ვერას არგებს—(ოთახის სივიწროვის გამო). წელს ბახმაროზე ამოდენა ხალხის თავის მოყრა სხვა მხრითაც საფრთხილოა—ადრე გამოილევა სანოვაგე და მაშინ გამეორდება ის, რაც მოხდა ომის გამოცხადების წელიწადს, როცა მთელი ბახმარო უპუროთ დარჩა და მოაგარაკეთა ტირილ-გოდებას საზღვარი არა ჰქონდა. ბახმაროზე ჯერ-ჯერობით ატანილია მხოლოდ ერთი ვაგონი ფქვილი, რომელიც შუა სეზონამდე არ იკმარებს. მოიჯარადრე ყოველივე ღონისძიებით ცდილობს კიდევ იშოვოს ერთი ვაგონი, მაგრამ საეჭვოა იშოვოს და თუ იშოვნა, შეიძლება იმ დროზე, როცა ბახმაროს ფურნე გაცივებული იქნება. ამხანაგობა „ჯანმრთელობის" გამგეობამაც კი სთხოვა პატივ. ნოე ჟორდანიას პირით ქარ. საქ. საზოგადოებას ერთი ვაგონი ფქვილი, მაგრამ იმედის დამყარება არც ამაზე შეიძლება. მაშ რა გზა დაგვრჩენია? გზა ერთად-ერთია: უნდა გავიხსენოთ როგორ მიდიოდნენ ამ 8—10 წლის წინად ბახმაროზე მოჰაერენი და ჩვენც ისე მოვიქცეთ. გურულებისათვის ბუნებას **მჭადი** გაუჩენია საზრდოთ. წინანდელ მოაგარაკეებსაც ბახმაროზე მიჰქონდათ სიმინდის ფქვილი და ვისაც უნდა ბახმაროს საღი ჰაერით სეზონის გათავებამდე დატკბეს და უკან „თავპირ ღლეტით" მშიერი არ წამოვიდეს იმან მჭადი უნდა ისაგზლოს. წინად არც ერთი მოჰაერე ქალი კი არა, ხშირად კაციც არ თაკილობდა მჭადი გამოეცხო და ოჯახური სადილი თავის ოჯახში ეჭამა. დღეს კი ბახმაროზე ყველა დუქნისა და სასადილოს იმედით მიეშურება. მართალია საამხანაგო სასადილო ურიგოდ არ არის მოწყობილი, მაგრამ კერძოდ გაკეთებული სადილი უფრო იაფიც იქნება და უფრო ჰიგიენურიც. დილით კვარის ცეცხლის გაჩაღება—კვარის საამო სუნი ფილტვ-სუსტიანისათვის მისწრაფებაა. მართალია წელს მჭადიც ძვირია და საყიდი, მაგრამ გასაყიდი მაინც იშოვება და თუ ამას გურულ ქალებს ახლანდელი სიზარმაცე და კუდიანობა ნებას მისცემს, მაშინ მჭადი პურს გურულებისათვის კიდეც სჯობს.

წელს მარტიდან მოკიდებული სიცხეები იყო გურიაში და რაკი ამის მიზეზით მშრალი გაზაფხული-ზაფხული იდგა ჰაერიც საღია და ბევრისათვის წელს ბახმაროზე წასვლა ისე საჭიროც არ არის, როგორც ნოტიო წელიწადში. ვინც არ წასულა ურჩევთ ნუ მიდიან და თუ წავლენ იქონიონ თან იქ საყოფი საგზალი.

**ძველი.**

—

**ლაგოდეხი.** 3 მკათათვეს პოდპოლკოვნიკ ბ-ნ ყავრიშვილის ნებართვით „ვოლნოოპრედელიაუშჩებმა" გამართეს წარმოდგენა ბ-ნ ა. ჩიხლაძის რეჟისორობის წარმოდგენა გაიმართა ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ; წარმოადგინეს „ბატონი და ყმა" ილ. ჭავჭავაძისა, პიესად გადმოკეთებული შ. დადიანის მიერ. მიუხედავად ცოტაოდენი დეფექტებისა, საზოგადოება ძალზე ნასიამენები დარჩა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი; წაიკითხეს იმერული და გურული სცენები. საკუთარი ლექსები წაიკითხეს ხონელიძემ და სავ. აბულაძემ, განსაკუთრებით უკანასკნელის შინაარსიანმა და მგრძნობიერად წაკითხულმა ლექსებმა („ამირანი", რუსულად „წმინდა ნინო") ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე, რისთვისაც ის მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. დასასრულ გაიმართა ცეკვა და სიმღერა. საზოგადოება ღამის ორ საათზე დაიშალა ძალზე ნასიამოვნები· წმინდა შემოსავალი დარჩა 104 მანეთი. მადლობის ღირსნი არიან ყველა მონაწილეობის მიმღებნი.

ადგილობრივ სამკითხველოსთვის დღემდე ვერ იშოვნეს წიგნთ-საცავის გამგე, რის გამოც სამკითხველოში სრული უწესრიგობაა გამეფებული.

ადგილობრივ საფოსტო კანტორის მოხელენი აუარებელი საქმით არიან დატვირთული, მათთვის განსაზღვრული დრო მუშაობისა არ არსებობს, მაგრამ მაინც როგორ აუა ორი-სამი მოხელე აუარებელ სამუშევარს; სათანადო უწყებამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას — აუცილებლად საჭიროა შტატის გადიდება.

—

**თიანეთი.** 1 მკათათვეს, ს. თიანეთს ესტუმრა ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოზი პიროსი. მათი მეუფება ხევსურეთისაკენ მიემგზავრებოდა. ადგილობრივი საზოგადოება დიდის ზეიმით შეხვდა. საყდრის შესავალში მამასახლისმა ბერიძემ მოკლე და მგრძნობიარე სიტყვით მიმართა და თან პურ-მარილიც მიართვა. ეპისკოპოსმა მიიღო და დალოცა.

თიანეთის ახალგაზდობამ ორ ამ თვეს „ქართველი დედა" წარმოადგინა. წარმოდგენამ მეტად მწყობრად ჩაიარა.

**კიკნა ფშაველა.**

# თეატრი

**დ. ხონი.** ადგილობრივ ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ ოთხშაბათს, 29 თიბათვეს წარმოდგენილ იქმნა: „პარიზელი ბიჭი" და „დათვი", ხოლო კვირას, 3 მკათათვეს „მეორედ გაყმაწვილება". წარმოდგენაში მონაწილეობდნენ მსახიობნი: მ. მდივანი, ო. ღოღობერიძე, მ. ნემო და ა. ყალაბეგიშვილი, აგრეთვე ადგილობრივი სცენის მოყვარენიც. წარმოდგენებს წრეულს ხალხი ბევრი ეტანება, ასე რომ აქაური თეატრის პატარა დარბაზი აღარ ჰყოფნის, სასურველია, რომ დრ. საზოგ. გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ეხლავე შეუდგეს უკეთესი და დიდი დარბაზის აშენებს, ან ჯერჯერობით დაიქირაოს სხვა დარბაზი. თუ კი დრამ. საზოგ. ენერგიულად მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს, ღირსეულადაც დააგვირგვინებს.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

დიდი-ჯიხაიშის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის სამზრუნველო საბჭო ულრმეს მადლობას უძღვნის ქვემოაღნიშნულ ქველმოქმედ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს თავისი ნივთიერი დახმარება.

**შემომწირველთა სია:** მღვდელ-მთავარმა დავით კაჭახიძემ 75 მან. სოფიო ილ. ქავთარაძემ 25 მან. იასონ ივლ. ლეჟავამ 30 მ. ევგენი დავ. დევიძემ 20 მ. კონსტანტინე დავ. ლეჟავამ 10 მ. რაჟდენ და მარიამ კახაძეებმა 30 მან. ბესარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძემ 25 მან. კოწია ფის. კაჭახიძემ 10 მ. დიმიტრი ანდ. კაჭახიძემ 5 მან. გიორგი ფილ. კაჭახიძემ 20 მან. ალექსანდრე კონს. ლეჟავამ 5 მან. ისიდორე ანდ. ლეჟავამ 10 მ. ონიფანტე იორდ. ქუთათელაძემ (შეკრებილი) 53 მან. ილარიონ იაკ. კოხრეიძემ 10 მან. იობა (იაკობ) ბეჟანისძე ჩხიკვაძემ 25 მ. ივლიანე ფირ. ნემსაძემ 10 მ. სერგო პლ. ცაგერეიშვილმა 15 მან. პედაგოგიური საბჭოს სასწავლებელმა 60 მ. ალექსანდრე დავ. დევიძემ 25 მან. ნოე ერმ. დევიძემ 5 მან.

სამზრუნველოს საბჭოს მონდობილებით წევრი ბლ. მღვდელი **ს. დევიძე.**

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება დაგვრთოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა მოვახსენოთ ბ. გერმანე იოსების ძე გოგიტიძეს რომელმაც თავისი პატარა ქალის გარდაცვალებულის შარლოტას სახსოვრად, ოზურგეთის ქალთა ოთხკლასიან პროგიმნაზიის სასარგებლოთ გადმოგვცა [illegible] მანეთი. სასწავლებლის [illegible] მგელაძე და ჟ. ორაგველიძე.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | სა. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | სა. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | სა. |
| თელავისაკენ | | № 4, | 7 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | სა. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | სა. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | სა. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | სა. |
| თელავიდან | | № 3, | 7 „ 58 „ | სა. |

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („посылка") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russepour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:**

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Croix Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genève.


**ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია**

# „განათლება"-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზეირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзѣ.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

# თევზის მრეწველნი

# ძმ. მეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მურჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.